







ქ. თბილისი
კუშკინის ქუჩა № 7-ში
განთავსებული შენობის
(ყოფილი
"ცეკავშირის შენობა")
და მიმდებარე ტერიტორიის
არქიტექტურული
კვლევა



დამკვეთი
. შ.პ.ს. „თბილისი სითი“

შემსრულებელი
არქიტექტორი ალა პროზოროვა

თბილისი
2014. 07



ქ.თბილისი,
პუშკინის ქუჩა №7-ში
განთავსებული შენობის *(ყოფილი "ცეკავშირის" შენობა)*
და მიმდებარე ტერიტორიის
არქიტექტურული კვლევა

საპროექტო (საკვლევი) ტერიტორია

ყოფილი "ცეკავშირის" შენობა (პუშკინის ქ.№7)



საცხოვრებელი სახლი (რუსთაველის გამზ. №1)



ქალაქ თბილისის ცენტრში, თავისუფლების მოედანთან, განლაგებულია შედარებით პატარა კვარტალი, რომელიც შემოსაზღვრულია თავისუფლების და პუშკინის მოედნებით, რუსთაველის გამზირით, ლ. გუდიაშვილის და ნ. ვაჩნაძის ქუჩებით. სწორად ამ კვარტალში მდებარეობს ჩვენი საკვლევი ტერიტორია.

ჩვენ საკვლევ ტერიტორიაზე განლაგებულია ნაწილობრივ დანგრეული ადმინისტრაციული შენობა, ცნობილი "ცეკავშირის" სახელწოდებით, და კიდევ ერთი საწყის სტადიაზე შეჩერებული დაუმთავრებელი შენობა.

2007 წელს ჩატარებული იყო ე.წ. "ცეკავშირის" შენობის მხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა მისი რეაბილიტაციის ჩატარებისათვის. თუმცა რეაბილიტაცია განხორციელებული არ იქნა. შენობის ფიზიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად უარესდებოდა და ახალმა მესაკუთრეებმა მიიღეს გადაწყვეტილება სასტუმროს ახალი შენობის პროექტირების შესახებ - "ცეკავშირის" შენობის ადგილზე (რეესტრის № 01.15.04.026.003), შეჩერებული დაუმთავრებელი მშენებლობის ტერტორიაზე (რეესტრის № 01.15.04.028.004) და თავისუფალ ნაკვეთზე ნ. ვაჩნაძის ქუჩის მხრიდან (რეესტრის № 01.15.04.028.002) - რის გამოც შესრულდა წარმოდგენილი კვლევა-ანალიზი, რომლის დამატებად და განუყოფელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს ადრე, 2007 წელს შესრულებული კვლევა.

2007 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად შეიცვალა "ცეკავშირის" შენობის არა მხოლოდ ფიზიკური მდგომარეობა, ასევე მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალქთმშენებლობის სიტუაცია ჩვენი საკვლევი უბნის გარშემო.







არ შეიცვალა სიტუაცია რუსთაველის გამზირზე №1-ში მდებარე 6-სართულიანი საცხოვრებელი შენობისა, რომელიც ცნობილია ქალაქ თბილისში როგორც სახლი «ჰიგიენა», პომპეზური საპარადო ფასადით გამზირის მხრიდან და ლოჯიებით ეზოდან (რეესტრის № 01.15.04.028.001). ეს არის ერთ-ერთი პირველი საბჭოთა პერიოდის საცხოვრებელი სახლი, აშენებული "ძველი თბილისის" ტერიტორიაზე (1937-39 წლები, არქიტექტორები ს.ყუბანეიშვილი, ა.ქურდიანი, მ.მელია). აგებული იქნა ყოფილი "სასახლის გასასვლელის" ქუჩის გაფართოების შემდეგ, დანგრეული 4-სართულიანი შენობის ადგილას. სახლი ვიწრო გვერდით გამოდის თავისუფლების მოედანზე, ხოლო ძირითადი გრძელი ფასადით – რუსთაველის

პროსპექტზე. ეს სახლი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ობიექტ/ძეგლს - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 01.10.2007 წლის №3/181 ბრძანების საფუძველზე (კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრის, ნაწილი №7, რიგითი №4051, სააღრიცხვო ბარათი № 0104071). უნდა აღინიშნოს, რომ 1971 წლამდე ეს შენობა მოედანზე იყო ყველაზე მაღალი, "ცეკავშირის" შენობა კი აშენდა იგივე სიმაღლის.



ფოტო 1973 წ.
რუსთაველის გ.№1 "ცეკავშირი" ქალაქის პანორამა

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი (რომელიც წინა კვლევაშიც იყო აღნიშნული), რომ მე-7 სართული შენობის მთელ სიგრძეზე დაშენებული იქნა 1990-იანი წლების ბოლოს. ამ სართულის 2-ქანობიანი სახურავი კარგად ჩას სწორედ გვერდითა მხრიდან, რომელიც გამოდის მოედანზე და ეკვრის "ცეკავშირის" შენობას. საცხოვრებელი შენობის ეზოს ფასადი გამოდის შიდაკვარტალურ ეზოში, რომელიც ესაზღვრება ჩვენ საკვლევ ტერიტორიას.

შეუცვლელი დარჩა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შენობა - როგორც პუშკინის მოედნის მხრიდან, ასევე გუდიაშვილის ქუჩის მხრიდან (ჩვენი საკვლევი ნაკვეთის მოპირდაპირე მხარეს).

რაც შეეხება ჩვენი საკვლევი ტერიტორიისათვის საინტერესო ცვლილებებს - ისინი განხილული იქნება ქვევით.

"ცეკავშირის" შენობა აშენებულია 1971 წელს (არქიტექტორები გ.მელქაძე, ნ.კვარცხავა), როგორც ადმინისტრაციული დაწესებულება. საპარადო მოხრილი ფასადის ნაწილი გამოდიოდა მოედანზე (ყოფილი შტაბის ქუჩის ადგილზე) და ნაწილი გუდიაშვილის ქუჩაზე. შენობას გააჩნია «ეზოს» ფასადიც, რომელიც მიმართულია კვარტლის შიგნით და თავისი მოპირკეთებით თითქმის არ განსხვავდება პარადულისაგან. 7-სართულიანი ნაგებობის სიმაღლე იგივია, რაც საცხოვრებელი სახლისა რუსთაველის გამზირზე №1 (26,6 მ. შეხების ადგილზე).

შენობამ უკვე 2007 წელს შეწყვიტა ფუნქციონირება. 2008 წლიდან დაიწყო მისი შიდა სივრცის დემონტაჟი, შემდეგ ეს სამუშაოები შეჩერებული იქნა. თუმცა ხანგრძლივი "მოუვლელობის" და ფასადის შემინვის დემონტაჟის გამო ესთეტიკური თვალსაზრისით შენობის შესახედაობა გაუარესდა. "ცეკავშირის" შენობის ტერიტორია მთელ პერიმეტრზე (მოედნის, ლ. გუდიაშვილის ქუჩის და ეზოს მხრიდან) შემოღობილია.

ლ. გუდიაშვილისა და ნ. ვაჩნაძის ქუჩების მხრიდან ჩვენ საკვლევ ტერიტორიაზე არის ორი ნაკვეთი, რომლებიც ცალ-ცალკეა გატარებული რეესტრში. 2007 წლის კვლევის დროს ისინი არ იყო განაშენიანებული (თუმცა 2005 წლამდე ლ. გუდიაშვილისა და ნ. ვაჩნაძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ნაკვეთში იდგა 2-სართულიანი შენობა, სადაც განთავსებული იყო ქალაქ თბილისის ყველაზე ძველი ლომბარდი). საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თანახმად წარმოდგენილი "ცეკავშირის" შენობის 1971 წლის პროექტის გენგეგმისა ეს ორი ნაკვეთი ლ. გუდიაშვილის და ნ. ვაჩნაძის ქუჩების წითელ ხაზზე გათვალისწინებული იყო "პერსპექტიული განაშენიანებისათვის", რომელიც "ჩაკეტავდა" შიდა კვარტალურ კეთილმოწყობილ ეზოს.



1971 წ. "ცეკავშირის" პროექტი - გენგეგმა

ეს განაშენიანება შემდგომში არ იქნა განხორციელებული. მხოლოდ 2008-2009 წლებში ნაკვეთზე, რომელიც გუდიაშვილის ქუჩაზე ეკვრის "ცეკავშირის" შენობას, დაიწყო, ხოლო შემდეგ გაჩერებული იქნა, "სავაჭრო ცენტრის" შენობის მშენებლობა. ამჟამად აქ ჩანს სარდაფის და პირველი სართულის კოლონების და გადახურვის რკინაბეტონის კონსტრუქციები.

მეორე ნაკვეთი ნ. ვაჩნაძის ქუჩის მხრიდან როგორც ადრე "ცარიელია", თავისუფალია რაიმე განაშენიანებისაგან. ოდესღაც დიდ მიასფალტებულ ეზოში (მრავალი წლის მანძილზე გამოყენებული როგორც საქალაქო სამარშრუტო ტაქსების ბოლო გაჩერება) დღეს სარეველა ბალახია მოდებული, ხოლო ტერიტორია გამოყოფილია ხის ღობით საცხოვრებელი შენობის ეზოსაგან.

ჩვენი საკვლევი ნაკვეთის მოპირდაპირედ ლ. გუდიაშვილის ქუჩის მხარეს, ყოფილი "გარნიზონის ტიპოგრაფიის" ადგილზე (ლ. გუდიაშვილის ქუჩა №1) შენდება ახალი, შედარებით დიდი, შენობა მრგვალი ფასადით, რომელიც ეკვრის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შენობას.



ფოტოგანშლები 2014 წ.



პუშკინის ქუჩის 2011-12 წლებში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ მთელ ქუჩაზე შეიცვალა ქალაქმშენებლობის სიტუაცია, კერძოდ:

- ქუჩის სავალი ნაწილის საფარის ქვეშ გახსნილი იქნა XIX საუკუნის დასაწყისში დანგრეული ქალაქის ციხე-სიმაგრის კედლების და მრგვალი კოშკის ნანგრევები. მოწყობილი იქნა სამზერი მოედნები და ბილიკები, რის შედეგადაც ქუჩის სავალი ნაწილი შევიწროვდა და ადრე ავტოტრანსპორტის 2-მხრივი მოძრაობა გახდა ცალმხრივი;

- საპარადო ფასადების რეკონსტრუქციის შედეგად პუშკინის ქუჩის კენტი აღრიცხვის ქვედა მხარეს (№№ 17, 19, 21, 23, 25) ფასადები შესრულებულია XIX საუკუნის დასაწყისის ძველი ქალაქური განაშენიანების ტრადიციებით (ზედა სართულები კონსოლური ხის აივნებით გადმოკიდებული ქუჩაზე), ამ დროს, როდესაც უშუალოდ მოედანზე გამომავალმა (№№ 1, 3, 5 ,7) ე.წ. "ევროპულმა" ფასადებმა უკვე მერამდენედ გაიდიდეს თავისი ვერტიკალური მასშტაბი - №№3, 5 და 7-ში მდებარე შენობებს დაშენებული აქვს 2-3 სრთული, ხოლო თავიდან აშენებული №1 შენობა (ადრე №1 და №3 იყო ერთიანი 3-სართულიანი შენობა) გახდა 7-სართულიანი.



ფოტოგანშლები 2014 წ

2010-11 წლებში ასევე ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ს.ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს (რუსთაველის გამზირი №3), მათ შორის შენობის გვერდითა მხარეს (ადმინისტრაციული ნაწილი) ნ. ვაჩნაძის ქუჩის მხრიდან (№1) - საკვლევი ნაკვეთის მოპირდაპირე მხარეს.

ზემოთ აღნიშნული ყველა ცვლილების შედეგად, რომელიც მოხდა ქალაქის ისტორიისათვის საკმაოდ მოკლე დროის მანძილზე (სულ რაღაც უკანასკნელ 7 წელიწადში) - შეიძლება განისაზღვროს ურბანული თვალსაზრისით ძირითადი ცვლილებები ჩვენი საკვლევი ობიექტის გარშემო:

- გაჩნდა საკვლევი ნაკვეთის თვალსაწიერის ახალი რაკურსები, რომლებიც ადრე არ არსებობდა - "ზედა ხედები" პუშკინის ქუჩის ზედა ნაწილის (№№1, 3, და 5, შენობები) ზემო სართულებიდან და ტერასებიდან და "ქვედა ხედები" გახსნილი ციხე-სიმაგრის კედლების სამზერი მოედნებიდან;



- შეიცვალა თავისუფლების მოედნის ყველა წერტილიდან საკვლევი ნაკვეთის (და კონკრეტულად "ცეკავშირის" შენობის) საერთო სამზერი პანორამა, გამომდინარე მოედნის განაშენიანების საერთო მასშტაბის შეცვლით და ახალი ქალაქთმშენებლობის აქტიური აქცენტების გაჩენით (წმ. გიორგის კოლონა, განაშენიანების ვიზუალური პერსპექტივის ხელოვნური შემცირება - "დიდი" შენობებიდან პუშკინის ქუჩა №1 მსხვილი არქიტექტურული დეტალებით შედარებით "მცირე" შენობებისაკენ წვრილი არქიტექტურული დეტალებით - ქვევით პუშკინის ქუჩის მიმართულებით);

- შეიცვალა სამზერი რაკურსები კვარტალთაშორისო ვიწრო ქუჩებში ჩვენი საკვლევი ნაკვეთის გარშემო, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ქუჩებზე გაჩნდა ახალი, შედარებით მსხვილ მასშტაბიანი შენობები (მშენებარე შენობა ნ. ვაჩნაძის ქუჩა №1, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ადმინისტრაციული ბლოკი);

- შეიცვალა მთელ თავისუფლების მოედანზე და საკვლევი ნაკვეთის გარშემო არქიტექტურული სტილების სართო ფონი (არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1972 წელს "ცეკავშირის" შენობის აშენების შემდეგ ეს იყო ერთადერთი შენობა აშენებული "ინტერნაციონალურ" არქიტექტურულ სტილში მთელ მოედანზე და მიმდებარე ქუჩებზე)

არ შეიძლება არ აღინიშნოს საერთო "მძიმე" ესთეტიკური და ემოციური შთაბეჭდილება თვით საკვლევ ნაკვეთზე ("ცეკავშირის" ნახევრად დაშლილი შენობა, დაუმთავრებელი მშენებლობის რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, მოდებული სარეველა ბალახები, ცარიელი ეზო - რომლებიც ჩანს ქალაქის ცენტრალური რუსთაველის გაზირიდან) და მის მიმდებარე ქუჩებზე (დიდხანს მშენებარე შენობა ნ.ვაჩნაძის ქუჩის №1-ში და ამ ქუჩის ქვედა ნაწილში არსებული დანგრეული ან ავარიული შენობები).

სამწუხაროდ გვიხდება იმ ფაქტის კონსტატირება, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო "ცეკავშირის" შენობა - რომელიც თავის დროზე იყო "ინტერნაციონალური" არქიტექტურული სტილის პიონერი ქალაქის ამ ნაწილში; ამასთან მოედნის რთულ განაშენიანებაში "ჩამჯდარი" იყო დიდი ტაქტით; გააჩნდა ხარისხიანად შესრულებული მინის საპარადო ფასადი; საექსპლუატაციოდ მოხერხებული გეგმარება; მოპირკეთებული ხარისხიანი ძვირადღირებული საამშენებლო მასალებით - დღეს დემონტაჟდება-ინგრევა და დაიკარგება ქალაქის არქიტექტურული განაშენიანებიდან.

2007 წ. **2013 წ.**





ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე რჩება საშვალება ზოგიერთი რეკომენდაციების მიცემისა ახალი მოცულობის პროექტირებისათვის საკვლევ ნაკვეთზე:

- გამოყენებული იქნეს იდეა "პერსპექტიული განაშენიანების" შესახებ ამ ნაკვეთზე, რომელიც ჩადებული იყო 1971 წელს "ცეკავშირის" შენობის გენგეგმაში - გათვალისწინებული იყო განაშენიანება კვარტლის "ცარიელ ნაკვეთზე" ლ. გუდიაშვილის და ნ. ვაჩნაძის წითელ ხაზზე (ამჟამად ამ ტერიტორიაზეა განლაგებული "დაუმთავრებელი" მშენებლობა "ცეკავშირის" შენობის გვერდით და ნ.ვაჩნაძის ქუჩის ნაკვეთი, რომელიც ეკვრის რუსთაველის №1-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს) და ამით "დაიხუროს" საკვლევი ნაკვეთის შიდა კვარტალური სივრცე და საცხოვრებელი სახლის შიდა ეზო ერთ (ან რამდენიმე) შენობით. ამასთან გეგმარებიდან გამომდინარე გათვალისწინებული იქნეს შესასვლელები შიდა კვარტალურ სივრცეში ამ ორი ქუჩიდან;

- გათვალისწინებული იქნეს საკვლევი ნაკვეთის წითელი ხაზის რთული კონფიგურაცია: თავისუფლების მოედნის - პუშკინის მოედნის - ლ. გუდიაშვილის ქუჩის - ნ. ვაჩნაძის ქუჩის მხრიდან. ამასთან ახალი შენობის (ან შენობების) საპარადო ფასადი (ან ფასადები) შეეცადონ "ჩაჯდეს" წითელ ხაზებში. (დაახლოებით ყოფილი "ცეკავშირის" შენობის კონფიგურაციის გამეორება);

- რუსთაველის №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის განსაკუთრებული სტატუსის გათვალისწინებით (კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტი/ძეგლი) და იმის გამო, რომ ამ შენობის აშენებისას მისი "ყრუ" გვერდითა კედლები წინასწარ იყო გათვალისწინებული მასზე მეზობელი სახლების მისაკვრელად მთელ სიმაღლეზე - განსაკუთრებული მონდომებით და ტაქტით დამუშავდეს ამ სახლისა და პროექტირებადი ახალი მოცულობის (ან მოცლობების) შეხების ადგილი - თავისუფლების მოედნის და ნ. ვაჩნაძის ქუჩის მხრიდან.

ახალი შენობის (ან შენობების) სიმაღლე შეხების ადგილებზე საცხოვრებელ სახლთან სასურველია დაპროექტდეს ერთნაირი - ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს საცხოვრებელი სახლის პარაპეტის ზემო კარნიზისა თუმცა ნიშნულებს შორის სხვაობის გათვალისწინებით (რუსთაველის გამზირის და ნ. ვაჩნაძის და ლ. გუდიაშვილის ქუჩების გადაკვეთის კუთხის ტროტუარის დონიდან - 7,3 მ, ხოლო მოედნის და ლ. გუდიაშვილის ქუჩის ტროტუარის დონიდან - 3,5 მ) დასაშვებია ნ. ვაჩნაძის და ლ. გუდიაშვილის ქუჩების მხრიდან პროექტირებადი შენობის აბსოლუტური სიმაღლის გაზრდის შესაძლებლობა.



ახალი შენობის პროექტირების დროს მხედველობაში იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ "ცეკავშირის" ყოფილი შენობის პირველი სართული გამოყენებული იყო კომერციული მიზნებისათვის და ამ სართულის სიმაღლე შესაბამისად მაღალი იყო, ვიდრე ტიპიური სართულების. ასევე იყო მიწისქვეშა სართული ავტომანქანების პარკირებისათვის. ამჟამად განსაკუთრებით აქტუალურია ავტოპარკინგის გადაწყვეტის პრობლემა, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში. ამიტომ პროექტის ავტორებს შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია გაითვალისწინონ უფრო დიდი ავტოსადგომი ახალი შენობის ქვეშ, და იმ შემთხვევაში, თუ გრუნტის ტექნიკური პარამეტრები იძლევა შესაძლებლობას - გაიზარდოს მიწისქვეშა სართულების რაოდენობა;

- არქიტექტურული სტილი, რომელშიც დაპროექტდება ახალი მოცულობა (ან მოცულობები) შეიძლება შერჩეული იქნეს დამკვეთის და პროექტის ავტორის მიერ ნებისმიერი - თავისუფლების მოედნის არქიტექტურული სტილების და აქცენტების ხშირი ცვილების ტენდენციის გათვალისწინებით 1932 წლის შემდეგ (როცა აღებული იქნა ქალაქის თეატრის შენობა). თუმცა სასურველია ახალი შენობის (ან შენობების) არქიტექტურული სტილი შეირჩეს არსებული საცხოვრებელი შენობის არქიტექტურული სტილისაგან განსხვავებული. ეს "განსხვავება" სტილებში მკვეთრად უნდა ჩანდეს ახალ და არსებულ მოცულობებს შორის შეხების ადგილებზე, განსაკუთრებით თავისუფლების მოედნის მხრიდან (კვარტლის ყველაზე "ვიწრო" გვერდი), სადაც ორი განსხვავებული სტილის მეზობლობაში მომგებიანად გაესმება ხაზი და მიუთითებს ქალაქის ცენტრის ტენდენციას დინამიურად შეითვისოს ყოველივე ახალი და ამასთან ერთად ეს იქნება პროგრესული ტენდენცია მისწრაფებისა შეინარჩუნოს ისტორიული ცენტრის საერთო სურათის უკვე მიჩვეული და ჩამოყალიბებული დეტალები. გამომდინარე აქედან ახალი შენობის მოპირკეთებითი სამუშაოებისათვის რეკომენდირებულია გამოყენებული იქნეს "ცეკავშირის" ყოფილ შენობაზე ადრე გამოყენებული მასალები ისეთები, როგორიც იყო მინა და ნატურალური ქვა (შავი გრანიტი და მარმარილო, ყვითელი ეკლარი). ტენდენციის შინაარსი ღრმავდება იმიტომაც, რომ საპროექტო ტერიტორია შედის ქალაქის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის საზღვრებში და ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტიური საპროექტო ობიექტის ხედვის წერტილი ქალაქ თბილისის მაცხოვრებლებისათვის და სტუმრებისათვის სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს თავისფლების მოედანი;

- იმ შემთხვევაში, თუ ახალი საპროექტო ობიექტის-სასტუმროს სტატუსი იქნება მაღალი - პერსპექტივაში სასტუმროს მეპატრონეებს შეიძლება გაეწიოთ რეკომენდაცია გამოისყიდონ რუსთაველის გამზირის №1-ში მდებარე სახლის მთელი საცხოვრებელი ფართი და მოაწყონ ამ შენობაში განსაკუთრებით მაღალი კლასის სასტუმრო ნომრები. ამ რეკომენდაციას საფუძვლად ედება შემდეგი ფაქტები: მომგებიანი ადგილმდებარეობა სასტუმრისათვის ქალაქის ოფიციალურ ცენტრში; ისტორიულად ამ ადგილზე, საცხოვრებელი სახლისა და "ცეკავშირის" შენობის აშენებამდე, განლაგებული იყო სასტუმროების შენობების რიგი; საცხოვრებელი სახლისა და მომავალი სასტუმროს საერთო ეზოების

სივრცე არ ჩაითვლება დადებით ფაქტორად მაღალი კლასის სასტუმროსათვის; რუსთაველი №1 შენობის შიდა საცხორებელი სივრცის არსებული გეგმარება და ქალაქის მთავარი გამზირისაკენ მიმართული ფასადი კარგად შეიძლება იქნეს ადაპტირებული სასტუმროს ფუნქციისათვის; როცა საცხოვრებელი ნომრები მოწყობილია ძველ ისტორიულ შენობებში, მითუმეტეს რომელთაც გააჩნიათ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტი/ძეგლის სტატუსი, სასტუმრო ბიზნესში ყოველთვის ითვლებოდა პრესტიჟულად და მაღლა სწევდა სასტუმროს სტატუსს;

რუსთაველის გამზირი



რუსთაველის გამზირი №1 - ტიპიური საცხოვრებელი სართულის გეგმა

- მშენებლობის დროს სასურველია გამოყენებული იქნეს თანამედროვე სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები. ობიექტზე საპროექტო და საამშენებლო სამუშაოები საჭიროა შესრულებული იქნეს მოქმედი ქალაქმშენებლობის ნორმების და წესების დაცვით.

არქიტექტორი ალა პროზოროვა
07. 2014.

allaprozorova@yahoo.com *5 99 968130*
5 99 960420